21/05/2026

MES 7 26 0000658672

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 20.05.2026**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00**
**სხდომის დამთავრების დრო: 16:28**
**საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე** (I, II, III, IV, VI, IX X, XI, XII საკითხები)
**სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი** (V საკითხი)
**საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი** ( II, III, IV, V,VI, IX X, XI, XII საკითხები)
**სხდომის მდივანი: ქეთევან ნანობაშვილი** (I საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგული ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
11. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
13. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. **ბონდ ოგასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:**
გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**
**შპს კავკასიის უნივერსიტეტი:**

- დიანა მჭედლიშვილი - ხარისხი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ეკატერინე აკობია - ფაკუკლტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
- დავით ნატროშვილი - ფაკულტეტის დეკანი;
- მაია მაჭავარიანი -წერეთელი - პროგრამის ხელმძღვანელი.

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

- თამარ გაგოშიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- შორენა მამუკაძე - პროგრამის განმახორციელებელი;
- მანანა მელიქიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მარიამ ბაკაშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ მანაგაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო ქიმერიძე - ხარისხის უზრუნვლეყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

**შპს უნივერსიტეტი ალტერბრიჯი:**

- ნათია გოცაძე - რექტორი;
- ირინა აღაპიშვილი – ვიცე რექტორი;
- ანა კობერიძე - საერთაშორისო სამსახურის ხელძღვანელი;
- გიორგი კეპულაძე - ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო არჯევნიშვილი - იურიდიული სამსახურის ხელმძრვანელი;
- სოფიკო სუპატაშვილი - ადმინისტრაციის ხელძღვანელი.

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართული უნივერსიტეტი**

- ბაია ჯაფარიძე -  ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:**

- ლევან თეზიაშვილი - საჯარო მმართველობის პროგრამების ხელმძღვანელი;
- გიგა თვაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

**აკრედიტაციის ექსპერტები:**

- დიბიეშ ანანდი (Dibyesh Anand) I საკითხი;
- სანდრო ტაბატაძე I საკითხი;
- ნათია გეგელაშვილი I საკითხი;
- ირმა ქურდაძე I საკითხი;
- სალომე ალანია I საკითხი;
- ზამირა ჰისენი-დურაკუ (Zamira Hyseni-Duraku) II, III საკითხი;
- ლია სანიკიძე II, III საკითხი;
- ნინო პატარაია II, III საკითხი;
- გიორგი მხეიძე III საკითხი;
- მუჰამედ აბდულ რაუფი (Muhammad Abdul Rauf) IV საკითხი;
- ეკა ლეკაშვილი IV, VI საკითხი;
- ნათია დაღელიშვილი IVსაკითხი;
- ანა მიხელიძე IV საკითხი;
- თეონა ბერიძე V საკითხი;

- ნინო ქიმერიძე V საკითხი;
- ნინო ფარსადანიშვილი VII, IX, X, XI საკითხი;
- ეკატერინე ფიფია VIII საკითხი;

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**
1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის 3 წლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "ფსიქოლოგიის" 3 წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს უნივერსიტეტი "ალტერბრიჯის" „ბიზნესის ადმინისტრირებისა და ციფრული მენეჯმენტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მოდული: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები) ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
10. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
11. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
12. შპს ალტე უნივერსიტეტის “ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- **არა**

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის" 3 წლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "ფსიქოლოგიის 3 წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ბიზნესის ადმინისტრირებისა და ციფრული მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების (მოდული: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები) ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა) საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
10. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
11. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
12. შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას I, II, III, IV, VI, IX X, XI და XII საკითხების განხილვის დროს უხელმძღვანელა ლევან შავაძემ, ხოლო V საკითხისს განხილვის დროს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა ქეთევან აფთარაშვილმა. ასევე, საბჭოს I საკითხზე სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა ქეთევან ნანობაშვილმა, ხოლო II, III, IV, V, VI, IX X, XI და XII საკითხებზე ვაჟა კელიხაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**პირველი საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის" 3 წლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - "საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის 3 - წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)";
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლების ენა** - ინგლისური;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - კავკასიის უნივერსიტეტი - საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი; ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი (NJCU, აშშ) - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 200.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიბიეშ ანანდიმ (Dibyesh Anand), აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა ყველა შესაბამისი დოკუმენტი, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საბოლოო დასკვნა. მისი განმარტებით, თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფში არსებობდა სრული თანხმობა.
დიბიეშ ანანდის შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამა არის მაღალი ხარისხის, ინოვაციური და საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის სიახლეს წარმოადგენს. ანგარიშში ასახულია პროგრამის ძლიერი მხარეები, თუმცა, ასევე წარმოდგენილია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა მიზანია პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება ნიუჯერსი სითის უნივერსიტეტთან (NJCU) პარტნიორობით. ამასთან, მიმდინარე პროცედურების ფარგლებში, ნიუჯერსი სითის უნივერსიტეტის (NJCU) კინის უნივერსიტეტთან (Kean University) გაერთიანების პროცესი მიმდინარეობს. მისი განმარტებით, თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია ასახული არ იყო. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულყოფილი და სათანადოდ დოკუმენტირებული სახით წარმოდგენილი არ ყოფილა. მოგვიანებით დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა ნიუჯერსი სითის უნივერსიტეტის (NJCU) მიერ გაცემული გარკვეული წერილები, თუმცა მათი ნაწილი ხელმოწერილი არ იყო, რაც რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა.
საერთაშორისო ექსპერტმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის ინსტიტუციური გაერთიანებები საერთაშორისო პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა ახალი პროგრამის შექმნისა და განხორციელების პროცესში აუცილებელია ყველა შესაბამისი საკითხის სათანადოდ გათვალისწინება, განსაკუთრებით იმ ვალდებულებებისა და პირობების, რომლებიც ახალ სტუდენტებთან მიმართებით იქნება რელევანტური. ასევე, მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ პროგრამა საერთო ჯამში ძალიან კარგად არის შემუშავებული.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს შეკითხვები და დამატებითი კომენტარები არ ჰქონიათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:15**
**დასრულების დრო: 14:17**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის" 3 წლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2028 წლის 31 დეკემბრამდე).
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის" 3 წლიან ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

**საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ მაქსიმ იავიჩი, ბონდო გასვიანი და ვაჟა კელიხაშვილი.**

**საბჭოს სხდომა დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.**

**მეორე საკითხი:** შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "ფსიქოლოგიის" 3 წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** ფსიქოლოგიის 3 წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ);
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლების ენა** - ინგლისური;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - კავკასიის უნივერსიტეტი - ფსიქოლოგიის ბაკალავრი; ნიუ - ჯერსის სითი უნივერსიტეტი (NJCU, აშშ) - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0313 ფსიქოლოგია;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 200.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **კი**

**თვითაცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზამირა ჰისენი - დურაკუმ (Zamira Hyseni-Duraku), აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის სამწლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუჯერსი სითის უნივერსიტეტის თანამშრომლობით. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს მიენიჭებათ ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხი.
მისი განმარტებით, პროგრამა მოიცავს 200 კრედიტს. სტუდენტები პირველი ორი წლის განმავლობაში კავკასიის უნივერსიტეტში დააგროვებენ 150 კრედიტს, ხოლო ბოლო სასწავლო წელს სწავლას ნიუჯერსი სითის უნივერსიტეტში გააგრძელებენ. პროგრამის წარმატებით

დასრულების შემდეგ სტუდენტებს მიენიჭებათ როგორც ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხი საქართველოს კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი ჩარჩოს მიხედვით.
მისი თქმით, ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 5 მაისს, რომლის ფარგლებშიც ექსპერტები შეხვდნენ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს, ასევე ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენელს. აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ერთიანი შეფასება. ექსპერტთა დასკვნით, პროგრამა სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს, ხოლო 2.2 და 2.4 სტანდარტები „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. "
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიუხედავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა, ექსპერტებმა ძალაში დატოვეს ორი რეკომენდაცია, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ მათი გათვალისწინება პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია.
ექსპერტის თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხება პედაგოგიურ მიდგომებსა და სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილების უზრუნველყოფას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განხილვისას გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტებისთვის კავკასიის უნივერსიტეტში სტრუქტურირებულ და ზედამხედველობით პრაქტიკის უზრუნველყოფასთან. აღნიშნული კომპონენტი მეტად უნდა იყოს შესაბამისობაში მოყვანილი პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო და საველე პრაქტიკის ძირითად ასპექტებთან. ამასთან, ექსპერტებმა გაითვალისწინეს საქართველოში არსებული გარემოებები და არ დააკონკრეტეს პრაქტიკის საათების რაოდენობა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნეს რეალურ სამუშაო გარემოში სტუდენტთა პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობა.
მეორე რეკომენდაცია უკავშირდება კვლევითი სემინარის კურსის შეფასების სისტემას. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მიუხედავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა, აუცილებელია შეფასების სისტემის საქართველოს კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, ვინაიდან არსებული მოდელი ამერიკული სისტემის საფუძველზეა აგებული.
შესაბამისად, 2.4 სტანდარტთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტუდენტთა შეფასების სისტემასთან;
- რეკომენდებულია, „კვლევითი სემინარის" კურსის ფარგლებში შეიცვალოს სტუდენტთა შეფასების სისტემა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტის თქმით, მეორე რეკომენდაცია უკავშირდება კვლევითი სემინარის კურსის შეფასების სისტემას. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მიუხედავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განმარტებებისა, აუცილებელია შეფასების სისტემის საქართველოს კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, ვინაიდან არსებული მოდელი ამერიკული სისტემის საფუძველზეა აგებული. შესაბამისად, სტანდარტის 2.4 სტანდარტთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაციები.
რაც შეეხება რჩევებს, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ორი რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში. კერძოდ, სასურველია სტუდენტებისთვის დამატებითი საკითხავი ლიტერატურის შეთავაზება და სწავლის შედეგების უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ფორმულირება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. იგი დაინტერესდა, სტანდარტის 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული ორი რეკომენდაცია მხოლოდ ამერიკულ უნივერსიტეტში განხორციელებულ სასწავლო კომპონენტებს ეხებოდა თუ კავკასიის უნივერსიტეტის სასწავლო კურსებსაც, და ასევე, რამ

განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციების გაცემის საჭიროება, მაშინ როდესაც პარტნიორ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულება დეტალურად არეგულირებს თანამშრომლობის პირობებს.
უნივერსიტეტის ხერისხის სამსახურის წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურა ორ უნივერსიტეტს შორის არის გადანაწილებული. მისი თქმით, ის სასწავლო კომპონენტები, რომლებიც კავკასიის უნივერსიტეტში ხორციელდება, სრულად არის ასახული როგორც სილაბუსებში, ისე შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში. რაც შეეხება რეკომენდაციებში მითითებულ საკითხებს, ისინი ეხება იმ კომპონენტებს, რომლებიც ამერიკის უნივერსიტეტში ხორციელდება, შესაბამისად, მათი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია. მისივე განმარტებით, შესაბამისი ჩანაწერების ფორმალურად სილაბუსებში ასახვა არარელევანტური იქნებოდა და შესაძლოა სტუდენტები შეცდომაში შეეყვანა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ნატროშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის თანახმად, სილაბუსი უნდა მოიცავდეს მიმდინარე და დასკვნით შეფასებებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მისი განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნა პროგრამაში გათვალისწინებულია და „კვლევითი სემინარის“ სილაბუსი სრულად აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:42**
**დასრულების დრო: 14:51**
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "ფსიქოლოგიის 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის" აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2028 წლის 31 დეკემბრამდე).

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 12**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) ფსიქოლოგიის 3 წლიან ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი

არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

- **სტანდარტის 2.4. კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია:** „რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტუდენტთა შეფასების სისტემას“ გადავიდა რჩევაში შემდეგი სახით: "სასურველია, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტუდენტთა შეფასების სისტემას“.
- **სტანდარტის 2.4. კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია:** „რეკომენდებულია, "კვლევითი სემინარის" კურსის ფარგლებში შეიცვალოს სტუდენტების შეფასების სისტემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“ გადავიდა რჩევაში შემდეგი სახით: „სასურველია, "კვლევითი სემინარის" კურსის ფარგლებში შეიცვალოს სტუდენტების შეფასების სისტემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

სტანდარტის 2.4. კომპონენტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2.4. კომპონენტი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან". შედეგად, მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად, "მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან".

**საბჭოს სხდომას შემოუერთდა თამარ ზარანდია**

**მესამე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - კლინიკური ნეიროფსიქოლოგია;
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - მეცნიერების მაგისტრი კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0313 კლინიკური ნეიროფსიქოლოგია;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 120.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **კი**

**თვითაცილება განაცხადეს ქეთევან აფთარაშვილმა, თამარ ზარანდიამ და ბონდო გასვიანმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზამირა ჰისენი-დურაკუმ (Zamira Hyseni-Duraku), აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ამასთან, ექსპერტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს პროგრამასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია.
მისი განმარტებით, პროგრამა მაქსიმალურად შეესაბამება დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს და აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე საკითხი, რომლებიც დასკვნაში რჩევების სახით აისახა. პირველი რჩევა ეხება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობასა და კვლევითი საქმიანობის ეთიკურ ასპექტებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაადგინოს იმ სამაგისტრო კვლევების ეთიკური შეფასებისა და დამტკიცების პროცედურები, რომლებშიც ჩართული არიან ადამიანები, და უზრუნველყოს აღნიშნული პროცედურების უნივერსიტეტის დონეზე გამოყენება. მეორე რჩევა უკავშირდება პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა დამატებითი ფინანსური რესურსები გამოყოს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისთვის.
დასასრულს, საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერს წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს კითხვები არ ჰქონია.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:59**
**დასრულების დრო: 15:02**
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2028 წლის 31 დეკემბრამდე).

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 11**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

**საბჭოს სხდომა დატოვა თამარ ზარანდიამ.**

**მეოთხე საკითხი:** შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ბიზნესის ადმინისტრირებისა და ციფრული მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირება და ციფრული მენეჯმენტი;
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლებისენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 180.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **კი**

**თვითაცილება განაცხადა თეა მჭედლურმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკა ლეკაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა. მისი განმარტებით, თავდაპირველ დასკვნაში გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა, თუმცა ძალაში დარჩა ორი რეკომენდაცია.

პირველი რეკომენდაცია უკავშირდება შეფასების სისტემას, სწავლის შედეგების დონეების განსაზღვრასა და კურიკულუმის რუკას. დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული კურიკულუმის რუკა, თუმცა რეკომენდაცია ძალაში დარჩა, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი უნდა განიხილოს პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და შესაბამისი წესით ოფიციალურად დაამტკიცოს. მეორე რეკომენდაცია ეხება შრომის ბაზრის წარმომადგენლების უფრო აქტიურ ჩართულობას პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში.
ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში წარმოდგენილია რამდენიმე რჩევაც, რომლებიც ძირითადად პირველ სტანდარტს უკავშირდება.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, მუჰამედ აბდულ რაუფმა (Muhammad Abdul Rauf) განმარტა, რომ ორივე რეკომენდაცია გაცემულია სტანდარტის 1.2 კომპონენტთან. პირველი რეკომენდაციის თანახმად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების უფრო კონკრეტულად და მკაფიოდ ფორმულირება, რათა შესაძლებელი იყოს მათი გაზომვა და შეფასება. მეორე რეკომენდაცია გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების რუკის გადახედვასა და შესაბამისობის უზრუნველყოფას. მისი თქმით, კურიკულუმის რუკა უნდა ასახავდეს სწავლის შედეგებისა და შესაბამისი დონეების მკაფიო კავშირს.
საერთაშორისო ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება მეორე და მეხუთე სტანდარტების მოთხოვნებს, ხოლო პირველ სტანდარტთან მიმართებით დაწესებულებამ გარკვეული საკითხები უნდა გაითვალისწინოს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
უნივერსიტეტის რექტორმა, ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არსებითად დაეთანხმა ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი კეპულაძემ განმარტა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული ეროვნული დარგობრივი მახასიათებლები, შრომის ბაზრის მოთხოვნები და უშუალოდ იყვნენ ჩართულნი დამსაქმებლები. მისივე თქმით, პროგრამის შემუშავებისას ასევე გაანალიზდა დარგში არსებული საჭიროებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას აქვს თხოვნა, რომ რეკომენდაციები გადავიდეს რჩევებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი კეპულაძემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ისე, რომ უზრუნველყოფს მათი მიღწევის მკაფიო და ობიექტურ შეფასებას, ხოლო თითოეული სწავლის შედეგი დაკავშირებულია შესაბამის შეფასების მეთოდებთან. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, მისი განმარტებით, კონკრეტული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება დაკავშირებულია არა ერთ, არამედ რამდენიმე სწავლის შედეგთან, რომლებიც ცალკე არის ფორმულირებული და მიმართულია, მათ შორის, ანალიტიკური, კვლევითი და ციფრული უნარების განვითარებაზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. იგი დაინტერესდა, რამდენად შეესაბამებოდა სტანდარტის 1.2 კომპონენტის შეფასება (ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან) დასკვნაში წარმოდგენილ არგუმენტაციას.
საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ ინგლისურენოვან დასკვნაში სტანდარტის 1.2. კომპონენტი შეფასებულია, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან". შესაძლოა დასკვნის ქართულენოვან ვერსიაში არის ტექნიკური ხარვეზი. რაც შეეხება სწავლის შედეგების გაზომვადობის საკითხს, მან მაგალითად მოიყვანა სწავლის შედეგი – „აღწერს თანამედროვე ბიზნეს კონცეფციებს“, რომელიც, ექსპერტთა შეფასებით, ზედმეტად ფართო და ნაკლებად გაზომვად ფორმულირებას წარმოადგენს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:26**
**დასრულების დრო: 15:52**
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ბიზნესის ადმინისტრირებისა და ციფრული მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2032 წლის 01 მარტამდე).

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 12**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ბიზნესის ადმინისტრირებისა და ციფრული მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე.

**საბჭოს სხდომა შემოუერთდა** თამარ ზარანდია
**მეხუთე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - გერმანული ენა და ლიტერატურა;
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელ იკვალიფიკაცია** - ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი გერმანულ ფილოლოგიაში;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0231 ენის დაუფლება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 120.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **კი**

**თვითაცილება განაცხადეს ვლადიმერ ადეიშვილმა და ლევან შავაძემ.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, თეონა ბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამამ 2023 წელს გაიარა აკრედიტაცია ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. მისი განმარტებით, რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ არ შესრულდა ოთხი რეკომენდაცია, რის გამოც პროგრამასთან მიმართებით საბჭომ იშუამდგომლა მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.
მან აღნიშნა, რომ მონიტორინგი განხორციელდა ვიზიტის გარეშე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ექსპერტთა დასკვნა გაეგზავნა დაწესებულებას, რომელმაც დასკვნაში ასახულ შეფასებებსა და მოსაზრებებს დაეთანხმა.
თეონა ბერიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:35**
**დასრულების დრო: 15:37**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 12**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

"გერმანული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**მეექვსე საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირება
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 180.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**ექსპერტის პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.**
ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული იყო 16 რეკომენდაცია. ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ რეკომენდაციების უმეტესობა სრულად არის შესრულებული, ხოლო ორი რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულად შეფასდა.
ექსპერტის თქმით, მეთორმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელშიც სისტემურად არის აღწერილი შეფასების სისტემა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. ინსტიტუცია ხაზს უსვამს შეფასების პროცესის მუდმივ მონიტორინგს, თუმცა რჩება გარკვეული საკითხი, რომელიც უკავშირდება სამიზნე ნიშნულებიდან გადახრების ანალიზს. მეორე საკითხი ეხება მეთოდოლოგიურ ნაწილს, სადაც ნიმუშის სახით წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკა არასწორი ფორმით არის შედგენილი, რის გამოც შეფასდა აღნიშნული რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულად.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ბაია ჯაფარიძემ განმარტა, რომ მეთოდოლოგია, რომელზეც ექსპერტმა ისაუბრა, დაწესებულების მიერ მტკიცებულების სახით იყო წარმოდგენილი, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი დამხმარე ხასიათს ატარებს, რაც დოკუმენტშივე პირდაპირ არის მითითებული. რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებიდან გადახრებს, დაწესებულებაში რეგულარულად ხორციელდება შესაბამისი ანალიზი და გამოიყენება რეაგირების მექანიზმები, რაც ასევე დადასტურებულია მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კომპლექსური დოკუმენტაციით. აღნიშნული პროცესი ხორციელდება პროგრამის სპეციფიკის, სწავლის შედეგების, მათი თავისებურებებისა და შეფასების ინდიკატორების გათვალისწინებით. მიღწეული შედეგებისა და მათი გაუმჯობესების გზების გადახედვა განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპის ფარგლებში.
მეთექვსმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღინიშნა, რომ მისი შეფასება განპირობებული იყო ცხრილის ფორმით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაძლო დამაბნეველი ხასიათით. ამასთან, ცხრილი ექვემდებარება კორექტირებას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკეული სასწავლო კურსები კონკრეტულ სწავლის შედეგთან მიმართებით შეიძლება ემსახურებოდეს როგორც შესაბამისი კომპეტენციის პირველად განვითარებას, ისე უკვე ჩამოყალიბებული კომპეტენციის განსხვავებულ კონტექსტში ხელახალ გამოყენებას, გაღრმავებასა და ინტეგრირებას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს შეკითხვები არ ჰქონდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:44**
**დასრულების დრო: 15:47**
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 14**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და დაწესებულებას დაავალა დარჩენილი რეკომენდაციების შესრულება მომავალი აკრედიტაციის პროცესისთვის.

**მეშვიდე საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - საჯარო მმართველობა;
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლებისენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საჯარო მმართველობის მაგისტრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტებისრაოდენობა** - 120.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტის პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.**

ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პროგრამის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა. პროგრამაზე მომუშავე გუნდმა სრულად შეასრულა პირველი 10 რეკომენდაცია, ხოლო სულ გაცემული იყო 12 რეკომენდაცია. მეთერთმეტე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის ზრდას. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიმართულებით დაწესებულებას მუშაობა დაწყებული აქვს და ამ ეტაპზე დასაქმებულია ერთი ახალი, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი. ასევე პროგრამას დაემატა ერთი აფილირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ აღნიშნული მიმართულებით მუშაობა უფრო ინტენსიურად განაგრძოს. მეთორმეტე რეკომენდაცია უკავშირდებოდა აკადემიური პერსონალის კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის ზრდას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ძირითადად პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო და კვლევითი აქტივობებია წარმოდგენილი, თუმცა პროგრამის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება მხოლოდ აღნიშნული მონაცემებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა, ბაია ჯაფარიძემ განმარტა, რომ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ზრდასთან დაკავშირებით დაწესებულება არ აპირებს მხოლოდ ერთი თანამშრომლის დამატებით შემოიფარგლოს და ამ მიმართულებით მუშაობას აქტიურად გააგრძელებს. რაც შეეხება სამეცნიერო აქტივობებს, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო ნაშრომები იყო ასახული,

თუმცა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით, დაწესებულების შესაბამისი სამსახური აქტიურად მუშაობს. ცხადდება კონკურსები, მათ შორის, მასწავლებლის მომზადების პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისთვის, ასევე დაგეგმილია კონფერენციის ჩატარება აღნიშნული მიმართულებით, რაც დამატებით შეუწყობს ხელს აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობის ზრდას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:58**
**დასრულების დრო: 16:01**
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო  საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 14**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**მერვე საკითხი:**  ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების (მოდული: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები) ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
2. **საფეხური** -
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - არ ენიჭება;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -**
6. **კრედიტების რაოდენობა** - 60.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტის პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.**
ექსპერტი ნინო ფარსადანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:50**
**დასრულების დრო: 15:53**
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების (მოდული: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები) ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 14**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართულ უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების (მოდული: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები) ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ქართული, როგორც მეორე ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, რუსული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**მეცხრე საკითხი:** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - საჯარო მმართველობა და პოლიტიკა
2. **საფეხური** - ბაკალავრიატი;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საჯარო მართველობის ბაკალავრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
6. **კრედიტების რაოდენობა** - 180.

**მეათე საკითხი:** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ციფრული მმართველობა
2. **საფეხური** - მაგისტრატურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საჯარო მართველობის მაგისტრი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 120.

**მეთერთმეტე საკითხი:** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - საჯარო მმართველობა;
2. **საფეხური** - დოქტორანტურა;
3. **სწავლების ენა** - ქართული;
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საჯარო მართველობის დოქტორი;
5. **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
6. **კრედიტების რაოდენობა** - 60.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება**

- **კი**

**თვითაცილება განაცხადა მზია წიკლაურმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

იმის გათვალისწინებით რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო, „ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო და "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სამივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

**მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საკითხების ზეპირი მოსმენა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.**
ექსპერტმა, ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სამი საგანმანათლებლო პროგრამა. პირველ ორ პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული იყო 9 რეკომენდაცია, ხოლო მესამე პროგრამასთან მიმართებით – 7 რეკომენდაცია.
მისი განმარტებით, პროგრამების ფარგლებში გადაიხედა სწავლის შედეგები და პროგრამების სტრუქტურა, რის შედეგადაც სასწავლო გეგმებში ინტეგრირებულია რეკომენდაციებით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები. ამასთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა დამატებითი სამუშაოები რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად.
ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი მასალებისა და განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სამივე პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:05**
**დასრულების დრო: 16:08**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**მეთორმეტე საკითხი:** შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საჩივრის ავტორისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

**მეთორმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საჩივრის ავტორს წარმოედგინა მისი მოსაზრებები**

მომჩივანმა ანა მელაძემ აღნიშნა, რომ სექტემბერში "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, რის შედეგადაც პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, სასწავლო გეგმას დაემატა ახალი სასწავლო კურსები, ხოლო რიგი ძირითადი საგნები არჩევით კომპონენტში გადავიდა.
მისი განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები შეეხო ფაკულტეტის ყველა სტუდენტს, მათ შორის, მეოთხე კურსის სტუდენტებსაც. მომჩივანი მიუთითებს, რომ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მეოთხე კურსის სტუდენტებს დამატებითი სემესტრის გავლა მოუწიათ, ვინაიდან მათ გაზაფხულის სემესტრში შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერის არაერთი მექანიზმი, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში. მისი განმარტებით, სტუდენტების ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, დაწესებულება ყოველთვის სთავაზობს მათ შესაბამის სამოქმედო გეგმასა და მხარდაჭერის ფორმებს.
მან ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სტუდენტს ოფიციალური განცხადებით უნივერსიტეტისთვის არ მიუმართავს. მისი შეფასებით, განცხადების წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი დაწესებულებისგან შესაბამის განმარტებასა და მხარდაჭერას მიიღებდა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ კითხვით მიმართა საჩივრის ავტორს, დამატებითი სემესტრის შემთხვევაში მოუწევდა თუ არა სწავლის საფასურის გადახდა.
საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ დამატებით სემესტრში სტუდენტებს კრედიტების რაოდენობის შესაბამისად მოუწევთ საფასურის გადახდა. მისივე თქმით, იგი სარგებლობს დაფინანსებით, თუმცა დამატებით სემესტრს სახელმწიფო დაფინანსება არ ფარავს.
საბჭოს წევრი, ქეთევან აფთარაშვილი დაინტერესებდა, რა ტიპის დაფინანსებით სარგებლობდა სტუდენტი.
სტუდენტმა აღნიშნა, რომ დაფინანსებას იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან. მისი განმარტებით, აღნიშნული დაფინანსება დამატებით სემესტრსაც დაფარავს იმ შემთხვევაში, თუ მისი საჭიროება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ცვლილებებით არის გამოწვეული და არა თავად სტუდენტის ქმედებით.
საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესებდა, რა ინფორმაცია მიაწოდა სტუდენტს ფაკულტეტის დეკანმა და იყო თუ არა ეს ინფორმაცია ამომწურავი.
სტუდენტმა განმარტა, რომ დეკანის მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციით, პროგრამის მიერ სექტემბერში აკრედიტაციის გავლის გამო ვერ დაირღვეოდა სასწავლო კურსების წინაპირობათა სისტემა, რის გამოც პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის ერთ სემესტრში არჩევა ვერ მოხერხდება.
საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესდა, კონკრეტულად რას ითხოვდა მომჩივანი.
საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო გაერკვია, რატომ გავრცელდა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები იმ სტუდენტებზეც, რომელთათვისაც აღნიშნულმა ცვლილებებმა დამატებითი სემესტრის საჭიროება წარმოშვა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს აღარ მოუწევთ სრული დამატებითი სემესტრის გავლა და სწავლის დასრულების ვადებიც შემცირდება.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც.
საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა, თუ სტუდენტი დაწესებულებას დადგენილი წესით მიმართავდა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა სასწავლო პროცესის დროულად დასრულების უზრუნველყოფა. ასევე, იგი დაინტერესდა, გავრცელდებოდა თუ არა აღნიშნული მიდგომა მხოლოდ ერთ სტუდენტზე, რომელმაც მიმართა დაწესებულებას, თუ ყველა იმ სტუდენტზე, რომლებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში რეაგირება დროულად განხორციელდებოდა. მისივე თქმით, შესაბამისი გადაწყვეტილება გავრცელდებოდა ყველა სტუდენტზე, რომელიც ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მსგავსი პრობლემა მხოლოდ ერთ სტუდენტს შეექმნა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:21**
**დასრულების დრო: 16:26**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 14**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს ალტე უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 20 მაისს 16:28 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნანობაშვილი ქეთევან

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
მფლობელსაუღიარ
ელექტრონული